



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გაქარიაძე ანასტასია თენგიზის ასული

გაქარიაძე ანასტასია თენგიზის ასული (დ. 27. VI. 1954, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენების და ლიტ-რის ფაკ-ტი ანგლისტიკის სპეციალობით (1976), ასპირანტურა ფილოს. სპეციალობით (1984). 1988-2006 იყო ივ. ჭავახიშვილის სახ. თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტის ფილოს. თანამედროვე პრობლემების კვლევის სამეცნ. ცენტრის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1988-2002 - თსუ-ის ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრის დოცენტი, 2002-06 - ამავე კათედრის პროფესორი, 2006-იდან - ივ. ჭავახიშვილის სახ. თსუ-ის პუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი, 2005-09 - ამავე უნ-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი; სამსახურის უფროსი. პედ. საქმიანობასთან ერთად იკვლევს პრაქტ. ფილოსოფიისა და ფილოს. ისტორიის პრობლემებს - ამერ. ფილოსოფიის, ესთეტიკის, ეთიკის, ბიოეთიკის, ქრისტ. ეთიკის საკითხებს. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოსა და 1 მეთოდური რეკომენდაციის ავტორი.

თხზ.: მხატვრული სიმბოლოს ბუნებისათვის, თბ., 2008; ნარკვევები ამერიკულ ფილოსოფიაში, თბ., 2009.